წელიწადი მეცხრე.—№ 447

პარასკევი, 1 ნოემბერი. 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქციის კანტორაში (უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში) მიიღება ართულს, რუსულს და სხვა ენებზე განცხადებები დასაბეჭდათ

„დროების კალენდარში“,

რომელიც იბეჭდება და დეკემბრის დამდეგს გამოვა

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი ასოებით, სტრიქონზე—5 კაპ. ასო მთავრულებით, სტრიქონზე—8 კაპ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: იმერეთის ბანკზე,—ქართული წარმოდგენა ენისელში,—წვრილი ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია: შენიშვნა X-ის კორრესპონდენციებზე,—ენისელიდამ,—რ უ ს ე თ ი: ლიფლიანდის კონვენტი,—წვრილი ამბები—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი,—გერმანია,—ინგლისი,—ამერიკა.—ს ა მ ა რ თ ა ლ ი: მიტროფონიას საქმე—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ ნ: საქართველოს მდგომარეობა მონგოლების დროს.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი

# საქართველო

## იმერეთის ბანკზედ

რვა წელიწადია, რაც იმერეთის თავად-აზნაურობამ პირველად ბანკის დაარსება განიზრახა და ამისთვის განსაკუთრებული კამისია დანიშნა. ამ ხნის განმავალობაში იმერეთის ბანკმა და იმის პროექტმა ბევრი რამ გამოსცადა: ხან ვის მიანდვეს ეს საქმე და ხან ვის; ზოგმა პეტერბურღში გადატანა მოუნდომა, ზოგი თვით ბანკის დაარსებასაც ეწინააღმდეგებოდა და ფულების უკანვე წაღებას ქადაგობდა; ბარე ორჯელ საბანკო ფულებს გვერდით ჩაუქროლეს და რამდენიმე ათი ათასი მანეთი უდროოთ წააგლიჯეს.

საზოგადოებაში თითქმის რწმუნება შესდგა: „ჰგავს ჩვენ უხეიროები ვყოფილვართ! ეტყობა, იმერეთი ბანკს ისე ვერ ნახავს, როგორც საკუთარ ყურებსაო!“

მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, საზოგადოებამ უფ. ბესარიონ ღოღობერიძისაგან შედგენილი პროექტი მიიღო. არ შევალთ იმის განხილვაში—კარგია ეს პროექტი, თუ ცუდი; თავის ნებით, საქმის ნამდვილი განსჯით და ცოდნით, თუ მოტყუებით დათანხმდა იმერეთი ამ პროექტის მიღებაზე; ამ გვარად დადგენილი ბანკი იმდენ სარგებლობას მოუტანს იმერეთის საზოგადოებას, რამდენსაც მოელის, თუ არა. ერთი სიტყვით, როგორც ჩვენმა მახვილმა თანამშრომელმა აკაკიმ სთქვა: კარგათ გამოცხობილი, თუ ცოტათი უმი პური მიართვეს საზოგადოებას? უველა ამაზე ლაპარაკი ეხლა უდროოა.

მიღებული პროექტი კავკასიის მთავარ სამმართველოში გამოიგზავნა. აქედამ, როგორც ისმის, განუხილველად გაიგზავნა პეტერბურღს და იქ, ჩვეულებრივის წესით, წავა.

იმერეთის ბანკის პროექტის წამყვანნი ძალიან სცდებიან, თუ ჰფიქრობენ, რომ იმათი მოვალეობა გათავდა, რომ იმათ ეხლა გულ-ხელ დაკრებილი უნდა უცადონ, სანამ ეს პროექტი დამზადებული და დამტკიცებული არ დაუბრუნდებათ უკან.

ჩვენში ასე მარტივად არასოდეს არ მიდის საქმე: ყველაფერს უკან დევნა, კაცი, დამჩქარებელი, ყურის-მგდებელი სჭირია. და თუ ამისთანა ყურის-მგდებელი არ გაადევნა იმერეთმა თავის ბანკის პროექტს უკან, ვინ იცის, იქნება, ორ-სამ წელიწადს კიდევ დასჭირდეს მოთმინების გამოცდა.

ეხლა ხომ გზა გაკვალულია; ყველას გვახსოვს, როგორ დამტკიცდა თფილისის საზოგადო ბანკი. იმერეთსაც იმ გზაზე სვლა მართებს.....

ამას გარდა, ვსთქვათ, როგორც იქნა, პროექტი დამტკიცდა. იმერეთში ეხლა, ჩვენის აზრით, ერთი კაცი არ მოიპოვება ისეთი, რომელმაც ბანკის საქმეების რიგიანათ წაყვანა და მართვა იცოდეს და შეიძლოს. ბანკის კარგათ წასაყვანად ხომ აუცილებელად საჭიროა, რომ იმის საქმეებს ჩვენებურივე კაცები, ჩვენი წყობილობისა და ცხოვრების მცოდნე, კაცები განაგებდნენ? სადა გვყავს ეხლა იმერეთში ამისთანა კაცები?

ამ საგანზედაც რომ ეხლავ მოიფიქრებდეს ჩვენი იმერეთის თავად-აზნაურობა, ურიგო არ იქნება. თუ იმერეთს ჰსურს, რომ იმის ბანკის პროექტი მალე დამტკიცდეს და შემდეგ კარგათ წაიყვანოს საქმეები, ისიც ისე უნდა მოიქცეს, როგორც თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მოიქცა.

ორი საიმედო კაცი გაგზავნოს პეტერბურღს; ესენი ერთის მხრით თვითონ ბანკის პროექტის მალე დამტკიცებასაც ადევნებენ თვალ-ყურს და მეორეს მხრით იქ ამ გვარი ბანკების ოპერაციებსაც შეისწავლიან. ამ კაცებზე დახარჯული ფული, ნუ გეშინიანთ, დაკარგული ფული არ იქნება. შემდეგაც გამოდგებიან....

ამ აზრებს იმერეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლს უძღვნით.

ს. მესხი.

## ქართული წარმოდგენა სოფ. ენისელში

ეს პირველი მაგალითია, რომ კახეთის სოფელში ქართული წარმოდგენა იყო. იმერეთში რამდენსამე ალაგას გამართეს უკანასკნელ წელიწადებში წარმოდგენები; ქართლში ჯერ არცერთი, თუმცა აქ დიდი სოფლები კახეთზე და იმერეთზე ნაკლებად არ მოიპოვება.

ყურადღების ღირსი ამ გარემოებაში ის კი არ არის, თუ რამდენი ფულები შემოვიდა წარმოდგენიდამ, ან რისამე, ან ვისამე სასარგებლოდ იყო ის, თუ არა. ის არის, რომ ყველგან, სადაც კი გამართეს წარმოდგენები, ხალხი დიდის ალტაცებით დაიარებოდა და კმაყოფილებას პოულობდა.

თუ სოფლებში და დაბებში ასეა, მაშ ქალაქებზე რაღა ითქმის? ამიტომაც სასირცხოთ უნდა მოგვაჩნდეს, რომ ისეთ ქალაქში, როგორც თფილისი, დღემდი ერთი სამუდამო თეატრი არ არსობს....

მართალია, 1869 წლიდამ დაწყებული ერთი ზამთარი არ გასულა, რომ თფილისში და ქუთაისში რამდენიმე ქართული წარმოდგენა მაინც არ ყოფილიყოს; ხალხი ყოველთვის ბლომათ დაიარება. ეტყობა, რომ საჭიროება არის. მაგრამ ამ საჭიროებას დღემდი მხოლოთ თეატრის მოყვარულები აკმაყოფილებენ, ისინიც ღმერთმა იცის როგორ!.

როგორც ყველგან და ყოველთვის, ჩვენშიაც თეატრის მოყვარეთა წარმოდგენები უფრო ხშირად უთავბოლოთ მიდის: ხარჯი ბევრია,—შემოსავალი ცოტა, შრომა, უთანხმოება? ბევრი—ნაყოფი ცოტა, ყვირილი ბევრი—საქმე არა სჩანს. მაგრამ საზოგადოება ამ წარმოდგენებზედაც დაიარება.

რაიცა შეეხება ჩვენი წარმოდგენებიდამ შემოსავლის მოხმარებას, ძალიან კარგი იქნება, ქალაქის მოთავეებმა სოფ. ენისელის წარმოდგენის მოთავეებს მიბაძონ. ძალიან კარგი იქნება, იმათაც ისე გამოაცხადონ ყოველთვის: ვის სასარგებლოდ იყო წარმოდგენა, რამდენი შემოვიდა, რამდენი დაიხარჯა და რამდენი დარჩა. საზოგადოებას ყველა ამის მოთხოვნისა და ცოდნის უფლება აქვს.

უველა ამ გვარ საქმეებში მოთავე საჭირო, კარგი, პატიოსანი მოთავე, რომელმანც საზოგადო საქმის ფასი და სამსახური იცოდეს. ამ გვარი კაცები რომ ყველა ქალაქებში და დიდ სოფლებში თითო-თითო მაინც გვყავდეს, უეჭველია, ამ თეატრის საქმეს გარდა, სხვა ბევრ საზოგადო საქმეშიაც გამოადგებოდა ჩვენს ხალხს. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ჩვენ კაცები არა გვყავს.

ს. მ.

თფილისის თავად-აზნაურობის სიადგილმამულო ბანკის გამგებელი, თ. ი. ჭავჭავაძე და ამავე ბანკის დირექტორი, თ. ა. ჩოლაყაშვილი პეტერბურღს წავიდნენ, როგორც გავიგეთ, იმისთვის, რომ დააჩქარებიონ და ყური უგდონ ბანკის გირაოს ფურცლების დამზადებას და ამას გარდა იქაურ ბანკირებთან მოსალაპარაკებლად ამ ფურცლების გასაღების თაობაზე. მეორე დირექტორიც თ. ა. ერისთავიც ამ ჟამად პეტერბურღშია, მაგრამ საკუთარი საქმისათვის და არა ბანკის თაობაზე. ამბობენ, რომ იმის მაგივრად აქაური ბანკის მეორე დირექტორად უფ. ა. ავალიშვილი იქნებაო.

*
* *

თამამშოვის ქარვასლაზე მუშები დაყენებული. ჯერ მხოლოთ იმას ამტვრევენ, რაც ცეცხლისაგან იმდენათ გაფუჭებულია, რომ შეკეთება არ მოხერხდება.

*
* *

ორ კვირაზე მეტია, რაც გუნიბის მაედანზე ახლად აშენებულ ფიცრულში ანატომიური მუზეუმია გამართული, სადაც მსურველს, ათ შაურად, წმინდა სანთლის კაცებსა და ქალებს და იმათ ყოველ სხეულის ნაწილებს აჩვენებენ....

* *
*

ფოთელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ ამ უკანასკნელ დროს აქ ძლიერ გახშირდა მალაზიების და სახლების გაქურდვაო. სხვათა შორის წასრულ თვეში ერთი უცხო ქვეყნის კაცი და მეორე იქაური ვაჭარი ურია გაუქურდავთ, შაბათ დღეს, როცა ეს ურია, სამლოცველოში ყოფილა; 2000 მან. ფულათ ფული მოუპარავთ და სხვა და სხვა ვერცხლეულობა.

ამას გარდა კორრესპონდენტს შემდეგი შემთხვევები მოჰყავს:

„ამ თვეში ერთი მაღაზია გატეხეს, საიდგანაც წაიღეს რუსეთის საქონელი 3000 მან. ქურდების კვალს შეუდგა აქაური პოლიციის პრისტავი უ. გუნიამ სამეგრელოსკენ და ორი დღის განმავალობაში რამოდენიმე ნაქურდალი საქონელი აღმოაჩინა სოფ. ჭალადიდს, სენაკის უეზდში, იქაური სოფლის მოსამართლის სახლში. როცა ეს პრისტავი საიდუმლოთ ეძებდა ნაპარავ საქონელს და დამნაშავეებს, ამოაჩინა ბევრი სხვა ნაქურდალი საქონელიც, რომელიც ფოთში დაიკარგა 1872—1874 წ.

რამდენიმე თვის წინად ერთი ახალციხელი მეწვრილმე სომეხი მიდიოდა თურმე. ფოთიდგან ყულევში (რედუტ კალეში) გზაზედ ავაზაკები დასხმოდნენ, ჯერ ბევრი სცემეს და მერმეთ რაც ფულები ჰქონდა, ყველა წაართვეს და გაიქცნენ. ნაცემი სომეხი მეორე დღესვე მოკვდა. ამ საქმეში დამნაშავენი წასულ მაისს დაიჭირეს, ერთი აქ ფოთში, და მეორეც ქუთაისს. მაგრამ ბევრი ავაზაკობა და ქურდობა დღემდინაც აღმოუჩენელი რჩება.“

*
* *

ქუთაისის სადამოჟნო მაზრის ცნობებიდამ სჩანს, რომ შარშან, აგვისტოს თვის განმავალობაში, იქიდამ 85,647 მანეთის საქონელი გაუტანიათ და იქ კი სხვა და სხვა ალაგებიდამ 136,322 მანეთის შემოუტანიათ.

თფილისის დამოჟნაში კი წელს, სექტემბრის თვის განმავალობაში, 339,676 მანეთის საქონელი შემოუტანიათ ევროპიდამ და—1,323 აზიიდამ.

*
* *

ჩვენს ადვოკატებს შევარდენმა ჩაურბინა... და ეხლა ისეთ ნაირად არიან დაფეთებულნი, რომ, როგორც სჩანს, ბევრისათვის კისერი მოუგრეხია.

იმ ახალი წესდებულების ძალით, რომელიც პირველი ივლისიდამ შევიდა ძალაში, არავის არა აქვს უფლება, თუ სასამართლოებისაგან მოწმობა არა აქვს, საქმის წარმოება იკისროს. და ამგვარი მოწმობის მიღება ბევრს ვერ ღირსებია. ჩვენი სასამართლოები, როგორც ისმის, ძალიან წინ დახედვით და სასტიკად ირჯებიან და ვინც კი რასმეში შენიშნულია ან რიგიანათ ვერ იჭერს ეგზამენს, ვექილობის უფლებას არ აძლევს.

თფილისში და ქუთაისში ბარე ორს გამოჩენილს (?) ადვოკატს ვერ მიუღია მოწმობა. მაგრამ რა! ამათ თავის სამყოფის შეგროვება კი მოასწრეს!....

* * *

ერთი თვე არ არის, რაც ეჩმიაძინში სომხური აკადემია გამართეს. ეხლა იქიდამ იწერებიან, რომ წასულ 16 ოქტომბერს, ამ აკადემიის შენობას რაღაც უბედურად ცეცხლი გაჩსენია და დამწვარაო. ამბობენ, დიდი ზიანი არისო.

* * *

ძალიან ხშირად ისმის ჩვენი პირუტყვის მეპატრონე გლეხებისაგან ჩივილი, რომ მემამულეები და საბალახე ადგილების პატრონები გვავიწროებენო. ხანდისხან პირუტყვმა ამათ საბალახეს ახლოს რომ გაიაროს, იჭერენო და სანამ ორ-სამ ხან ხუთ მანეთს არ გადაგვახდევინებენ, ისე არ იძლევიანო. ხან კიდეც ჰკლავენ თურმე პირუტყვსა, რომელიც, მენახირის უყურადღებობის გამო, სხვის საბალახე ან საყანე ადგილში შეიპარება.

ყველას უფლება აქვს, რასაკვირველია, თავის საკუთრება დაიცვას, მაგრამ ამასთან არც ის უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ გლეხის შევიწროება სრულებით ვაჟკაცობისა და სამართლიანობის ნიშანი არ არის. ზასაკვირველია, რატომ ამაზედ, ვისიც რიგია, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს....

## „დროების“ კორრესპონდენცია

ჩვენ ერთხელ კიდევ გადვიკითხეთ ყველა კორრესპონდენციები, რომელიც უფ. X-ის სტატიების თაობაზე (იმერეთის სამღვდელოების ყრილობაზე) მოგვივიდა რედაქციაში; მაგრამ დავრწმუნდით, რომ სრულად ერთის მეტის დაბეჭდვა არ მოხერხდება. ამისთვის დანარჩენი კორრესპონდენციებიდამ (რომელთაგან ზოგიერთები მხოლოთ გინებაა) მოგვყავს უმთავრესი მუხლები, რომელშიაც უფ. კორრესპონდენტები უფ. X-სს ამტყუნებენ:

1) თითქმის ყველანი ერთხმათ ამტყუვნებენ უფ. X-ს იმ სიტყვებისათვის, რომელიც იმან ქუთაისის მღვდლებს უძღვნა, რომ ვითომც იმათ ღონის-ძიება აქვთ და სასწავლებელს არ ეწევიანო. კორრესპონდენტები ამბობენ, რომ დღემდი ქუთაისის მღვდლებს სოფლელებზე უფრო ნაკლები შემოსავალი ჰქონდაო, რადგან, მცირედი ჯამაგირის მეტი, იმათ არავითარი შემოსავალი არ მოეძეოდათო, სოფლელ ღვდლებს კი მამული აქვთო. და დღეს კი, როდესაც ქუთაისის მღვდლებს ჯამაგირი მოუმატეს, ისინი სრულებით უარს არ ამბობენ, რომ სასულიერო სასწავლებელს, რითაც შეუძლიანთ, შეეწიონო. ეს აზრი ქვემო-მოყვანილ კორრესპონდენციაში მსურველისათვის უფრო ვრცლადაა ახსნილი.

2) მოსამზადებელი კლასისათვის სახლის ქირავებაზედ ამბობენ, რომ, თუმცა მართალია, ეს სადგომი (დეკ. ი. ზამრეკელოვის სახლი) ერთობ შორს არისო, მაგრამ სობოროსთან ახლოს სახლი არ იპოებოდაო და მეტი ღონე არ იყოო. 1400 მანეთად, როგორც უფ. X ამბობს, სობოროსთან სახლის აშენება არ შეიძლებაო.

3) ამასთანავე ზოგიერთი კორრესპონდენტები მ. ღამბაშიძეს აბრალებენ, რომ იმან ძალათ ამოარჩევინა თავის მღვდლებს კრების თავს-მჯდომარედ თავი, თორემ იმას უფლება არა ჰქონდაო, რადგან დეპუტატი არ იყოო. ერთი იმათთაგანი ამტკიცებს, რომ თავს-მჯდომარეობის დროს, იმან ზოგიერთი უკანონო და წესდებულების საწინააღმდეგო მოქმედება მოახდინაო, წესდებულებისაგან მონიჭებულ უფლებებს და წრეს გადასცდაო და სხვ.

უფ. X-მა ყველა ამ გამტყუნებაზე, რასაკვირველია, პასუხი უნდა მისცეს და ჩვენც ამ პასუხს მოველით; მაგრამ ეხლავე ვაცხადებთ, რომ ამ პასუხის შემდეგ ამ საგნის თაობაზე რედაქცია ყველა პოლემიკას და კინწლაობის მოსპობას, შემდეგ არავის პასუხსა და პასუხის-პასუხს აღარ დაბეჭდავს.

რედ.

### შენიშვნა უფ. X-ის კორრესპონდენციებზე

იმერეთის სამღვდელოების ყრილობის ამწერს, უ. X-ს, სრულებით არა გაჰგებია რა ჩვენი ქალაქის სიძვირისა და საკ. სობოროს კრებულის ავლა-დიდებისა და ცხოვრებისა. ამბობს, რომ „პირველი მაგალითი შემწეობისა სასულ. სასწავლებლისა და სემინარიის აღშენებისათვის საკ. სობ. კრებულს უნდა მიეცა სოფლელი ქალამნიან და ჩოხებიან მღვდლებისთვინო.“ და ის კი არ გაუგია, რომ ხსენებულს სობოროს სრულიად არ ჰყავს მრევლი და კრებულის ცხოვრება არის დამოკიდებული მარტო მათს ჯამაგირზედ.

წვრილი კრებულის ჯამაგირი არ არის სათქმელი. მხოლოდ ვიტყვით მღვდლებისა, არხი-დიაკონისა, კანდელაკისა და დეკანოზის ჯამაგირებზედ: თითო მღვდლის ჯამაგირი არის 350 მან., არხიდიაკონის დაკ ანდელაკისა,--400 დეკანოზისა კი—450 მან. ყველა შემთხვევითი შემოსავლიდგან მღვდელს, წელიწადში, შეუდგება—500 მანეთამდის, არხი-დიაკონს და კანდელაკს 700-ის, დეკანოზს კი—800-ს. ეს ასრეა. მაგრამ უფ. X-ს გამოჰყავს ათას-ათასი მანეთი თითოეულს კრებულზედ! ამ კრებულიდგან: კანდელაკი, 1 მღვდელი და არხიდიაკონი არიან საქართველოდგან მოსულნი; ადგილ-მამული სრულიად არა აქვთ და არის მათი ცხოვრება მხოლოდ ჯამაგირზედ დამყარებული. მხოლოდ დეკანოზს და ერთ მღვდელს კი აქვთ ადგილ-მამული, საიდგან პური (მჭადი) და ღვინო მაინც შემოსდით; მაგრამ მაინც რა დარჩებათ ჯამაგირიდგან ამისთანა გაძვირებულს ცხოვრებაში?

ჩემის აზრით, სოფლელს მღვდელს უფრო აქვს საშუალება ცხოვრებისა და შემწეობისათვის, სანემ ხსენებულის კრებულის მღვდლებს და დეკანოზს, მისთვის რომ სოფლელს მღვდელს, წელიწადში, მოუნდება ჩაცმა-დახურვისათვის ბევრი-ბევრი 150 მან., დანარჩენი ფული კი რჩება ჯიბეში, რადგან სხვა სურსათი ცხოვრებისა მას შემოსდის თავის ადგილ-მამულისა და მრევლისაგან; და თუ სოფლის მღვდელს ჰხედავენ ქალამნებით და დაბრანძული ანაფორით და აქედგან გამოჰყავთ მისი სიღარიბე—ეს სულ ტყუილია მისთვის, რომ ჩემთვის ბევრჯელ უთქვამს სოფლელ მღვდელს: „რა საჭიროა ჩემთვის ლაფჩინები (წაღები), ჯერ რომ მას შეჩვეული არ ვარ,—რო ჩავიცვა, ფეხები გამიხურდება, და მერე—სოფელში რა ოხრობისთვის მინდა: თუ პაჭარა ატალახდა, შენი მტერი, ლაფში ჩამრჩება. ისევ ჩემი—დალოცვილი ქალამნები და ჩუსტები, უფრო მჩატე საცმელია და სასიარულოთაც კარგია; ლაფჩინებისთვის კი ფარებს არ დავაბნევო?“ მგრეთვე კარგს ანაფორაზედაც სჯის.

მე ბევრჯელ გამიგონია ნათქვამის კრებულის მღვდლისაგან, რომ იგი ძალიან შესცდა ქუთაისში გადმოსვლაზე. თუმცა მას არც იქ ჰქონია ადგილ-მამული, მაგრამ მრევლის შემოსავლიდგან კარგათაც სცხოვრობდა და ფულიც ჰქონია, ასე რომ წელიწადში 300 მან. თუ არა, 200 მაინც ჰქონდა; დღეს მას, თუმცა 350 მან. აქვს ჯამაგირი და მასთან ცოტა შემოსავალიც, მაგრამ ამ დაწყევლილ სიძვირის დროს აქ, ქალაქში, კაპეიკიც არ რჩება.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც საკ. სობ. კრებული ისეთი შეუგნებელი არ არის, რომ არ ესმოდეს სასწავლებლის სარგებლობა და ის, რომ ამ შემთხვევაში არ იყოს საჭირო ხსენებულის სასწავლებლის და სემინარიის აღშენებისათვის შემწეობა, მაგრამ აქამდის კრებულის მღვდელს ჰქონდა 120 მან. ჯამაგირი, ხოლო დეკანოზს 150 მან. შეიძლებოდა, უფ. X-ო, აქედგან რისამე შემწეობის მიცემა? ამ ყრილობაში კი, ყოვლად-სამღვდელოს განკარგულებით, კრებულის მხრივ რომ ყოფილიყო დეპუტატი, უსათუოდ რაიმე შემწეობა დაინიშნებოდა; მაგრამ ამისთანა არა იყო რა. მხოლოდ თავს-მჯდომარის შეგონებით დეპუტატებმა თხოვნა შეიტანეს ყოვლად-სამღვდელოსთან და სთხოვეს, რომ სობ. კრებულმაც უსათუოდ ყოველ-წლობით შემოიტანოს შემწეობა თუ მეტი არა, არა ნაკლებ თითო სოფლის მღვდლის გადასახადისაო.

†

ქ. ქუთაისი

1874 წ. ოქტომბრის 3-ს

სოფ. ენისელი, 24 ოქტომბერს.

სოფელს ენისელში თეატრის წარმოდგენაზედ, თუმცა წარსულს მარიამობისთვეშივე მოვამზადე კორრესპონდენცია და მინდოდა მაშინვე გამომეგზავნა „დროებაში“, მაგრამ რაკი შევიტყე, რომ ამ საგანზედ კიდეც გამოეგზავნათ, ამისათვის მე დავსთმევი იმ ხანად გამოგზავნა ჩემის კორრესპონდენციისა, რადგანაც არ მინდოდა, რომ ეთქვა ვისმე:—ჩვენი ბრალი! რაღაც „ძუნწი“ წარმოუდგენიათ და უკვირსთ, ერთის მაგიერათ ოროლნი იწერებიან: დაბეჭდეთ, თეატრი გვქონდაო!

მე თუ ეხლა კიდე ამ საგანზედა ვწერ, ეს ამიტომ რომ პირველს კორრესპონდენტს არა სცოდნია ნამდვილი დანიშნულება თეატრისა.

წარმოდგენა გახლდათ ახლად დაფუძნებული ენისლის სასოფლო შკოლის სასარგებლოდ; წარმოდგენიდამ შემოვიდა სულ ოთხი თუმანი და ექვსი მანეთი ფული.

კორრესპონდენტი ამბობს, რომ გლეხები ორისავე სქესისანი მრავალნი დაესწრნენ ამ წარმოდგენაში და ბევრიც იხარხარებსო; მაგრამ სიმართლე სჯობს: თავად-აზნაურობისა და რამოდენიმე მოსამსახურეთაგანის მეტი არავინ ყოფილა.

ღვთის წინაშე, არ იქნებოდა ურიგო და მუქთათ ცქერის ნება მიეცათ რამოდენიმე გლეხებისათვის, რომ იმათაც ენახათ, თუ როგორ წარმოადგენენ ხოლმე ცუდსა და კარგს ზნეს ადამიანის ცხოვრებიდამ და ჩვეულებიდამ. ამასთან, რასაკვირველია, რომ ეტყოდათ ვინმე ღვთის-ნიერი ადამიანი წარმოდგენის მიზანსაც და დანარჩენს ხომ თვითონაც დაინახავდნენ ამ ქალების შრომას იმათ შვილების სწავლის სასარგებლოდ; თორემ ისე რომ ათასი თუმანიც შეჰსწიროთ ვინმემ გლეხებს, რომლის ქველის-მოქმედების მიზნისთვისაც გნებავსთ, თავის დღეში არ იფიქროთ, რომ იმათ გულ-დამშვიდებით იძლევნან; მაშინვე ეჭვში შელენ და იტყვიან: „რათ გვაჩუქეს? უთუოდ ჩვენი წაცდა უნდათ და შემდეგ ჩვენგან უფრო მეტს ისარგებლებენ ნივთიერათაო, თორემ აბა რას გვაჩუქებენო!“

აი, ამ გვარ აზრზედ გახლავან გლეხები და ამიტომ საჭირო არის, რომ ამათთვის ვინც რას საქმეს აპირებდეს, ყოველივე სახსრები აუხსნან, თორემ უთავ-ბოლო შეწევნა და შრომა ამათთვის დაშთებიან უნაყოფონი და უმადურნი. ეს აზრი იმისთვისა აქვსთ საცოდავებს, რომ ველარავისა ენდობიან, რადგანაც იმგრგვლივ მოტყუებულნი გახლავან.

ზემოხსენებულის ფულიდამ ზოგი სტოლის და სკამების გამკეთებელს მისცეს, ზოგი შკოლის ქირის ბეით და დანარჩენი ოცდა ექვსი მანეთი აქვს შკოლას ყოველ შემთხვევისათვის.

შკოლის საქმე წინ და წინ თუმცა ალმაცერათ მიდიოდა, მაგრამ ახლა ცოტათ ფეხი გაიმართა და უფრო და უფრო ემატება შაგირდები. თ. გიორგი ჯორჯაძემ სახლობით დიდი თანაგრძნობა, სიყვარული და ხელის გამართვა გამოუჩინა ენისლის შკოლას.

გ. გრემელი.

# რუსეთი

### ლიფლიანდიის კონვენტი

ლიფლიანდიას რუსის მთავრობისაგან მინიჭებული აქვს უფლება, რომ თვითონვე თავის ქვეყნიდამ ამოირჩიოს კაცები და ამნაირად შედგენილმა კრებამ განაგოს იქაური საქმეები. აზნაურობის კრებას კონვენტი ჰქვია, ვაჭრებისას დიდი გილდია და დანარჩენი მცხოვრებლისას — პატარა გილდია. ამ დაწესებების ხელშია ქალაქებისა და სოფლების შემოსავალ-გასავალის დანიშვნა, ხალხის განათლება და სხვ. უმაღლესი ზედამხედველი არის რუსეთისაგან დაყენებული ადმინისტრაციული უფლება (ღენერალ-ღუბერნატორი).

ერთი იქაური გაზეთი—„რიგის უწყება“ არ ემადლიერება კონვენტნს იმიტომ, რომ სხდომები ამ კრებებში საიდუმლოთ არის; არ აცხადებენ: თუ რაზედა აქვთ მოლაპარაკება, როგორ მიჰყავთ საქმეები, რასა სწყვეტენ და სხვ. და ამ გვარი საიდუმლოება საზოგადო საქმეში ძალიან მავნებელი არისო; საზოგადოებას ჰსურს და უფლებაცა აქვს შეიტყოს: თუ რას აკეთებენ იმის წარმომადგენელი პირებიო, რა განკარგულებას ახდენენო, და ესენი კი თითქო ცხრაკლიტულში ჩამჯდარან და ისე აქვთ მოლაპარაკებაო. ყოველი საზოგადო საქმე აშკარად უნდა კეთდებოდეს, ყოველ ისეთს საქმეზე მოლაპარაკება, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, თავისუფალი და გამოცხადებული უნდა იყოსო; მხოლოთ მაშინ მიეჩვევა ხალხი პოლიტიკურ ცხოვრებას და თავის საკუთარი საქმეების ყურადღების ქცევასო.

აი, ეს თვისება აკლია ჩვენს ძლიერ კარგს და სასარგებლო დაწესებასო, ამბობს ბოლოს „რიგის უწყება.“

ყუბანის მაზრის უფროსმა გამოსცა ამას წინათ ბრძანება, რომ იმის ხელქვევით მდებარე სოფლებს ეცადნათ სამიკიტნოები დაეკეტნათ და იმის ნაცვლად სახალხო შკოლები გაეხსნათ. ამ განკარგულების ძალით, რამდენსამე სოფელში სამიკიტნოები დაუკეტიათ; მაგრამ იმათ მაგივრად შკოლები გაიხსნა, თუ არა, ამაზე არაფერს არ იწერებიან.

* * *

„რუსის ინვალიდში“ იწერებიან კოკანი-

და, რომ ამ უკანასკნელ წლებში იქ ხშირი არეულობა არისო, ერთი რომელიმე მოჯანყე გამოჩნდება და რამდენსამე ათასს კაცს აალელვებსო. გაზეთებში დაბეჭდილია ეხლა კოკანის ხანის წიგნი უფ. თურქისტანის ღენერალ-ღუბერნატორთან, რომელშიაც აცხადებს, რომ ღვთის შეწევნით აჯანყებულები დავიმორჩილეო.

***

მოსკოვის გუბერნიის ერობის სხდომაზე წასულ 15 ოქტომბერს, სხვათა შორის, იმაზედაც ყოფილა მოლაპარაკება, რომ მომავალ წელს ჩვენი სასოფლო შკოლების მასწავლებლების კრებისათვის უნდა ვიზრუნოთ რამეო; გამოცდილებამ გვიჩვენაო, რომ ზაფხულშიდ მასწავლებლების ერთად შეკრება და სხვა და სხვა პედაგოგიურ საგნებზე ერთმანეთში მოლაპარაკება ძალიან სასარგებლო საქმეაო; ამის გამო მოსკოვის ერობას გადაუწყვეტია, რომ მომავალი 1875 წლისთვის შკოლების მასწავლებლების კრებისათვის 5,500 მანეთი დაუნიშნოთო და კიდეც დაუნიშნავთ.

***

სტავროპოლში ყოფილა კრება იქაური სასოფლო შკოლის მასწავლებლებისა. „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ ამ კრებაზე 65 მასწავლებელი დასწრებია, რომელშიაც 27 ქალი ყოფილა.

## უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი

პარიჟის გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ იმ ცუდ დამოკიდებულებაზე, რომელიც საფრანგეთისა და ესპანიის მმართებლობას შუა არის. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის მთავრობა დღემდინ კიდევ თითქო შემწეობას აძლევს იმ დონ-კარლოსის მომხრეებს, რომელნიც ამდენი ხანია აშფოთებენ ესპანიას. ესპანიის სამზღვარზე განგებ ისეთი კაცი იყო ღუბერნატორად დაყენებული, რომელიც ყველაფერში აშკარად ხელს უწყობდა კარლოსის მომხრეებსა, თავის დეპარტამენტში თავისუფლად ცხოვრების ნებას აძლევდა, იქიდამ სურსათი და საომარი იარაღები გაჰქონდათ და სხ. სანამ ევროპის სახელმწიფოებმა მარშალი სერრანოს მმართებლობა არ იცნეს ესპანიაში, ამაზე უკმაყოფილება ჩუმ-ჩუმად ისმოდა. მაგრამ ეხლა, როდესაც გერმანიის თაოსნობით, სერრანოს მმართებლობა და რესპუბლიკა თითქმის ყველა სახელმწიფოებმა კანონიერად იცნეს, ესპანიამ პირ-და-პირ და გვარიანად სასტიკადაც მოსთხოვა საფრანგეთის მთავრობას, რომ კარლისტებისათვის, როგორც მოჯანყეებისათვის, შემწეობა არ მიეცათ.

აი, ამის გამო ბევრს ეშინოდათ და ეშინიანთ კიდეცა, რომ საფრანგეთსა და ესპანიას შუა რაიმე განხეთქილება და, იქნება, ომიანობაც არ მოხდესო. მაგრამ ეს ტყუილი შიშია: ორივე ზემოხსენებული ხალხი ისე დასუსტებულია, (ერთი გერმანიისაგან, მეორე შინაგანი არეულობის წყალობით), რომ ომის ატეხას ამ ჟამად ვერცერთი ვერ გაბედავს.

### გერმანია

კულმანი, რომელმანც ამას წინათ დამბაჩა ესროლა თ. ბისმარკს, ეხლა გაასამართლეს. გამოძიებიდამ აღმოჩნდა, რომ დამნაშავე ძალიან ავი და ჩხუბის მოყვარე ხასიათის კაცი ყოფილა. როცა უბრალო მუშათ იყო, რამდენჯერმე თავის ამხანაგ მუშებს წაჩხუბებია სულ უბრალო რამეებზე და ზოგი დიდი დანით დაუჭრია, ზოგისათვის დამბაჩა უსვრია, ზოგისთვის უცემია. ასე რომ ყველას ავ კაცად და ჩხუბის ამტეხად მიაჩნდა თურმე.

შარშანდელი წლიდამ ის გამხდარა იმ კათოლიკე საზოგადოების წევრად, რომელშიაც მუშებს იღებდნენ და რომლის მოთავეებს ძალიან სძულდათ ბისმარკი, რადგან ყველა დევნას, რომელიც კათოლიკე ეკკლესიას მიაყენეს ამ უკანასკნელ დროს გერმანიაში, ყველას თ. ბისმარკს აბრალებდნენ. საზოგადოების წევრები ერთ ყავახანაში იკრიბებოდნენ და სმისა და ლოთობის დროს ჰკითხულობდნენ ფრანგების პატრებისაგან გამოცემულ ბროშურებსა და გაზეთებს, რომელშიაც კათოლიკე ეკკლესიის დამცირებას და გერმანიის კათოლიკე სამღვდელოების შევიწროებას ბისმარკის საქმედ სთვლიდნენ.

აი, ამ ყავახანაში მოსვლია პირველად კულმანს აზრი, რომ, ეითომ ეკკლესიის დასაცველად თ. ბისმარკი მოეკლა. ის წამოვიდა კისინგენში და იმ დროს, როცა ბისმარკი რკინის გზის ვაგონში ჯდებოდა, ესროლა დამბაჩა, რომელსაც მუდამ ჯიბეში დაატარებდა, და ხელში დასჭრა. დამნაშავეს იმწამსვე სტაცეს ხელი და, როგორც ვთქვით, ეხლა ვიურცბურგში გაასამართლეს.

სასამართლოში კულმანი ყველაფერში გამოტყდა, არაფერზე უარი არ უთქვამს. სხვათა შორის მოსამართლეებს უთხარ: „მე იმას კი არ ვნანობ, რომ ბისმარკის მოკვლა მინდოდა; მხოლოდ იმას ვნანობ, რომ მოკვლა მინდოდა და ვერ მოვკალი“. სასამართლომ იმას თოთხმეტი წლით საპყრობილეში ჩამწყვდევა და შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა გარდაუწყვიტა.

### ინგლისი

ინგლისის ტახტის მემკვიდრე — უელსის პრინცი — ეხლა საფრანგეთში მოგზაურობს. ამ მოგზაურობის დროს, უელსის პრინცი ზოგიერთ გამოჩენილ ლეგიტიმისტებთან და ბონაპარტიელებთან იყო მიწვეული თუ სანადიროთ და თუ ბანკეტებზე. ამ გარემოებამ ზოგიერთი ფრანცუზული გაზეთები აალაპარაკა; ამბობდნენ, რომ ინგლისის მმართებლობა საფრანგეთის პარტიებს ირჩევს და იმათ უდგებაო. მაგრამ ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ ინგლისის პრინცს ისეთი ცოტა გავლენა აქვს ინგლისის შინაგან და გარეგან პოლიტიკაზე, რომ რაც უნდა ჩაიდინოს, ეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას სრულებით არ შეეხებაო. ჩვენი პოლიტიკის გზის მაჩვენებელი და შინაგანი საქმეების გამგებელი პარლამენტია და არა პრინცებიო.

### ამერიკის რესპუბლიკა

გაზეთებში ეხლავე დაიწყეს სჯა იმ დღესასწაულობაზე და გამოფენაზე, რომელიც 1876 წელს იქნება ფილადელფიაში, ამერიკის შტატების ინგლისისაგან განთავისუფლების სახსოვრად. ერთს ფრანცუზულ გაზეთში, სხვათა შორის, ამაზე სწერენ ამერიკიდამ, რომ აქ იმედი აქვთო, რომ დანიშნულ დროს მთელი დედა-მიწის ხალხების წარმომადგენლები იქნებიანო ჩვენში და ამ ჩვენი განთავისუფლების დღეს მოგვილოცავენო. ზოგიერთ ევროპის და აზიის სახელმწიფოებს ეხლავე გამოუცხადებიათ სურვილი, რომ იმ გამოფენაში და დღესასწაულობაში მონაწილეობას მიიღებენ. ეს სახელმწიფოები არიან: ინგლისი, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, ოლლანდია, ჩინეთი, სვედია, ბრაზილია, რუსეთი და პორტუგალია.

## სამართალი

### დ. მიტროფანიას საქმე

ყველა რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ერთი დიდი და ძლიერ შესანიშნავი საქმე, რომელიც ერთს მოსკოვის დედა-მონოზანს — მიტროფანიას — შეეხება. მოსკოვის ოლქის სასამართლომ ორი კვირა მოანდომა მარტო ამ საქმის განხილვას.

მონოზანი მიტროფანია ძალიან გამოჩენილი და ცნობილი ქალი იყო როგორც პეტერბურღში, ისე განსაკუთრებით მოსკოვში. საქმიდამ აღმოჩნდა, რომ ეს ქალი ბევრი მაღალ-ხარისხის კაცებისაგან ძლიერ პატივცემული იყო, რადგან ობლებისა და ღარიბებისათვის შესაწირავს ჰკრებდა და ბევრს შემწეობას აძლევდა. თავის უკანასკნელ სიტყვაში მიტროფანიამ სხვათა შორის სთქვა, რომ 22 წლის განმავალობაში ღარიბი და ობოლი ხალხისათვის ვზრუნავდიო, ჩემს თავ-შესაფარ სახლში ამ უკანასკნელ თორმეტ წელიწადს 150 ათას ავათმყოფს დავეხმარეო, 200 ათასს უსახლკაროს უპატრონე და 300 ობოლს ვზრდიდიო.

იქნება ზოგიერთი ესენი მართალი იყოს, მაგრამ გამოძიებიდამ გამოჩნდა, რომ დედა მიტროფანიას ამ ქველ-საქმისათვის ბევრი ბოროტება და უზნეო მოქმედებაც ჩაუდენია. სხვათა შორის, ის ყალბ ვექსელებს არდგენდა, მდიდარ ვაჭრებს ატყუებდა, ერთი გარყვნილი ქალი ჩაუგდია ხელში და იმასაც 150 ათ. მანეთის ვექსელები გამოტყუვილა.

ყველა ეს ცხადათ გამოჩნდა საქმის წარმოებიდამ; მაგრამ ამასთანავე ისიც გამოჩნდა, რომ ეს ქალი ძალიან ნიჭიერი, მომქმედი და მომხერხებელი ქალი ყოფილა, ასე რომ იმას რომ სხვა ასპარეზი აღმოერჩია, უეჭველია, იმის ცხოვრება შესანიშნავად მარგებელი იქნებოდა საზოგადოებისათვის.

სასამართლომ თითქმის ყველა დანაშაულობაში ბრალეულად იცნო და ყველა უფლების ჩამორთმევა და ციმბირში თოთხმეტი წლით გარდასახლება გარდაუწყვიტა.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

X

### საქართველოს მდგომარეობა მონგოლების დროს

სტატია I

1231 წელს მონგოლებმა ადარბადაგანში ჯალალ-ედინს აუტეხეს ბრძოლა და უკანასკნელად დაამარცხეს. ის ახლა საბერძნეთში გაქცევას აპირებდა; მაგრამ როცა მივიდა ბასიანში, იმის მახლობლივ, საცა ეხლა ქურთები სახლობენ, მარტოდ დარჩა და დაიძინა ხეთ ძირსა. აქ ის მძინარე ნახა ერთმა ქურთმა და მოჰკლა, ამისთვის რომ იმისი სარტყელი, ცხენის უნაგირი და კაპარჭი, უფასოთა თვალთა მიერ და მარგალიტთა შემკობილი იყო.

თუმცა ჯალალ-ედინი სახელ-განთქმული და მაღალი ჭკუის კაცი იყო, მაგრამ უწყალოებაში და სასტიკობაშიაც იმას კაცი ვერა ჰსჯობდა. ის მოვიდა 1231 წელს და ამავე წელს საქართველოში შემოვიდა ოთხი მონგოლი ნოინი (ღენერალთ).

თუმცა ამის წინათ ქართველები ჯალალ-ედინისაგან შებერტყილნი იყვნენ, მაგრამ ისინი მონგოლებს მაინც ღონივრად შეებნენ და აგრძნობინეს პატივის-ცემა ქართველი ხალხისა; მაგრამ რადგან მონგოლები ძალიან ბევრნი იყვნენ, ამისთვის ბოლოს გამარჯვება მაინც იმათ დარჩათ. ისინი ამ გამარჯვების შემდეგ დასახლდნენ შირაქში და აქ ბარდავში სამუდამოთ სამხედრო ბანაკი ჩაავდეს. ამისგამო იორის ნაპირებზე მცხოვრები ქართველი ხალხები აიყარნენ და საქართველოს ტერრიტორიის სხვა ნაწილებში გადასახლდნენ. პლატონ იოსელიანი თავის „Путевыя записки по Кахетіи 1846 წლისაში„ სწერს, რომ შირაქში იორის ნაპირებზე მონგოლები ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ დასახლებულნიო და ამისათვის კახეთის თავადიშვილების ძველს სიგელებში და გუჯრებში იმათ სახელად „აბა“ ჰქვიანთო; აბა არის თათრული სიტყვა და ნიშნავს მოძრავს, უბან-უბან მცხოვრებ ხალხს. რადგან ზამთრში შირაქის მინდვრებში თოვლი დიდხანს ვერა ჰძლებს, ამისთვის მონგოლების ნოინები ზამთარში აქ სცხოვრებდნენ, ზაფხულში სომხეთში, არარატის მახლობლივ, და აქედგან ჯერ დაუმორჩილებელ საქართველოს ეომებოდნენ. მაგრამ შირაქის სამთავრო დამორჩილებული იყო და მთავარი ვარამ გაგელი, რომლის სატახტო ადგილი შამქორი იყო, აქ აღარ სცხოვრებდა, ის ჯალალ-ედინის დროსვე იმერეთში რუსუდანთან გაიქცა.

ამისათვის ამ მინდვრებში მონგოლებს არავინ არ აწუხებდა და აქედგან თავისუფლად გზავნიდნენ თავიანთ ჯარებს საქართველოს ასაოხრებლად. იმათ მოძრავ ჯარებმა ძლიერ შეაწუხეს ქართველების თემები.

ქართველების სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ ამ გასაჭირის დროს იმათ იმოდენა სიმხნე, ვაჟკაცობა და მამულის სიყვარული გამოიჩინეს, რომ მონგოლებს ერთი მტკაველი მიწა არ დაუთმეს უიმისოთ, რომ თავისი ძვირფასი სიცოცხლე მამულის სიყვარულისა და თავისუფლებისთვის კვერცხივით ზედ არ შეეხეთქათ.

სამ საუკუნის განმავალობაში თავისუფლებას მიჩვეულ ხალხს ეძნელებოდა ახლა იმისი დათმობა და მტრის ბრჭყალში ჩავარდნა. მაგრამ, საუბედუროდ, მონგოლების უმრავლესობა ბოლოს ჰძლევდა მამაცს ქართველს ხალხს. ამისათვის საჭირო იყო კეთილ-გონიერებითი პოლიტიკური ტაქტიკის მქონი კაცები; საჭირო იყო გაამაყებული და გამწარებული ქართველი ხალხის თავის შეკავება, რომ ის ცუდ-უბრალოდ მძლავრ მტერს კვერცხსავით ზედ არ შესქდომოდა.

სამცხე-საათაბაგოელები ისრეთის სიამაყით და სიმწარით ეომებოდნენ მონგოლების ნოინებს, რომ ერთს ომში 10,000 კაცზე მეტი მოკვდა. ამ თავგანწირულის ომის შემდეგ მონგოლებს დარჩათ აღმოსავლეთის საქართველოში ბურთი და მოედანი. 360 კაბადონზე „ქართლის ცხოვრება“ ამბობს:

„ხოლო ნოინნი ესე ზემოხსენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, არტაანს, ანისს და დვინს, და მოფინეს ქვეყანათა მსგავსად მკალთა საოხრებელად და ხოცად, და არა სადა იყო ლხინება, შეწევნა და ნუგეშინის ცემა: ესრედ უწყალოდ მოისვროდა ქვეყანა ესე: მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქვეყანასა აჰარისასა, და ამირ-სპასალარი ავაქ შევიდა ციხესა კაენისასა, ვარამ გაგელი წარვიდა ქუთათის.“

მეფე რუსუდანმაც დასტოვა ღვთის ამარად აღმოსავლეთის საქართველო და გაიქცა ქუთაისში. ამ მდგომარეობაში ხალხს აბა რა ექნა, თუ არ შეხიზნულ იყო მთების სიმაგრეებში და ციხეებში. გონიერებამ არ-

ჩია, რომ ყველა თემები შეხიზნულიყვნენ თავიანთ სათემო სიმაგრეებში და ეომნათ მტერთან, უკეთუ ის მიადგებოდა (იხ. „ქარ. ცხოვრება“ 360).

ამ გვარს გასაჭირს და ძნელს ულხინებელს დროს საჭირო იყო ძლიერი ჭკუის და მკლავის მეფე; მაგრამ საუბედუროდ რუსუდანი მეფე კი არ იყო, არამედ იყო ქუშტუნდური. სვინიდისის შეუწუხებლად იმან დასტოვა აღმოსავლეთის საქართველო მონგოლების ხელში და განცხრომით განისვენებდა იმერეთში; მერმე აქაურ თავადიშვილებმაც აქნიეს თავის ძმებს ხელი და უგზო-უკვლობის მადლიერნი ცხოვრებდნენ უზრუნველად. მონგოლები უგზოობის გამო ვერ გადმოდიოდნენ იმერეთში და ისინი ამისთვის არას დასდევდნენ, თუნდ რომ ქართველები აღმოსავლეთის საქართველოში ყველანი ამომწყდარიყვნენ. იმერეთის თავად-აზნაურობა ამ დროს რუსუდანის შვილის დავით ნარინის გამეფების ზრუნველობაში იყო და საზოგადო მტრის საზოგადო ძალით და ხელით მოშორება კი ყურ ქვეშაც არ მოსდიოდა. ოღონდ კი იმათ კარგათ და მეფე რუსუდანის წყალობით ბედნიერად ეცხოვრათ და საქართველოს სხვა ნაწილების თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ დარჩომილიყო.

ამირ-სპასალარმა ავაქმა, შანშე მანდატურთ-უხუცესმა კახეთის ერისთავმა შოცკუარმა და ვარამ გაგელმა ნახეს, რომ შემწეობა არსაიდგან არ იყო, მივიდნენ და შეურიგდნენ მონგოლებს და ამ გვარის კეთილ-გონიერებითი ქცევით დაამშვიდეს ხალხის უხილნებელი ცხოვრება (361 გვერ. „ქარ. ცხოვ.“). ამის შემდეგ იმათ რუსუდანიც შეურიგდა; მაგრამ იმ პირობით, რომ იმისი შვილი დავით ნარინი მონგოლებს საქართველოში მეფედ დაესვათ. ამის შემდეგ რა მოხდა საქართველოში და როგორ გამეფდნენ რუსუდანის შვილი — დავით ნარინი და ლაშა გიორგის შვილი — დავით სოსლანი, ამაზე შემდეგ ისტორიულს ესკიზებში ვილაპარაკოთ.

ინგილო ჯანაშვილი

---

# ნარევი

შვეიცარიაში არის ერთი საზოგადოება, რომელსაც სახელად „საზოგადო სარგებლობის წრე“ ჰქვია. წარსულს თვეში ამ საზოგადოებას ერთს იქაურ ქალაქში-ფრიბურგში-ჰქონია კრება და სხვათა შორის შემდეგი გადაუწყვეტია: რადგანაც ეხლა ქალებიც იწყებენ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, რადგანაც იმათთვის სავაჭრო ცნობები და განათლება აუცილებლად საჭირო არის, ამის გამო ვეცადოთ, რომ ყველა სქოლებში სასწავლებლებში შემოიღონ ისეთი სწავლა, რომელიც ვაჭრობაში საჭირო არისო.

***

საფრანგეთიდამ მოდის ამბები, რომ იქ წელს ძლიერ კარგი მოსავალი ყოფილა, ასე რომ ნამუშევრის მომყვანი მუშები, რამდენიც აქამდი იყო, ორი იმოდენაც არ ყოფნის. ამის გამო მუშები გაძვირებულან.

ერთს ფრანცუზულ გაზეთში მოყვანილია ერთი მემამულის ნაამბობი ამბავი, რომლისთვისაც მუშებს შემდეგი პირობები უთხოვნიათ: ჩვეულებრივ დღიურ ქირას გარდა, მომკელ მუშებს უთხოვიათ: ა) დღეში სამჯერ გვაჭამე პურიო, ბ) ყოველ ინჯრაზე ნახევარი ბოთლი ღვინო, გ) შუა დღეზე ყავა და დ) გაზეთი საკითხავად...

***

სპარსეთის შაჰს აუწერია თავის ევროპაში მოგზაურობა და კიდეც დაუბეჭდინებია ფრანცუზულ ენაზე. ბევრი ახირებული და სასაცილო ამბებია ამ წიგნში თურმე აწერილი. სხვათა შორის, ფრანცუზულ გაზეთებში მოყვანილია იმის აწერა თუ როგორ მიუღია შაჰი ლონდონის სურათების გამოფენის დირექტორს.

შაჰი სწერს:

„სხვათა შორის დირექტორმა ერთი ვირის სურათი მიჩვენა, რომელზედაც ეწერა, რომ ეს სურათი ათას მანეთად ღირსო. მე ვკითხე:

— როგორ არის ეს, რომ ცოცხალი ვირი ჩვენში მხოლოთ ხუთ მანეთად ღირს და ტილოზე დახატული კი ათას მანეთად?

დირექტორმა მიპასუხა:

— იმიტომ არის ეს, თქვენო უდიდესობავ, რომ ცოცხალი ვირი სასმელ-საჭმელს თხოულობს და დახატული კი არა.

— მის მაგიერ დ, ზედ შესაჯდომათაც არ გამოსადგება მეთქი, უპასუხე მე. ბევრი ვიცინეთ...

***

ერთს ფრანცუზულ სამასხარო გაზეთში სწერენ, რომ პარიჟში ფართო და სრული კორსეტების მოდა შემოსულა, რომელშიაც ჩამჯდარი ქალი ძალიან ადვილად გამოძვრება თურმე. ამ კორსეტს სახელად „მარჩი“ ქვია, იმ კაცის სახელი, რომელიც სან-მარგარიტის კუნძულის საპყრობილის ზედამხედველად იყო, როცა იქიდამ საფრანგეთის მოღალატე ბაზენი გაიქცა...

***

შვეიცარიის მმართებლობას დაუდვია კანონად, რომ ყველა იმ უბედურებაში, რომელიც რკინის გზებზე მოხდება, პასუხის-მგებელი ამ გზების კამპანიები და პატრონები არიანო.

ნეტავი ვიცოდეთ: რამდენჯერ აგებდნენ პასუხს, რამდენს იზღავდნენ ჩვენი ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგებლები, ჩვენშიაც რომ ამისთანა კანონი იყოს?!...

***

უკანასკნელი გამოანგარიშებით, გერმანიაში ამ ჟამად 445 ისეთი საზოგადოება არსობს, რომლის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ დაბალ ხალხში წერა-კითხვის ცოდნა გაავრცელოს

***

პარიჟის მეტეოროლოგიული ობსერვატორია გვიწინასწარმეტყველებს, რომ წელს ძალიან ცივი და სასტიკი ზამთარი იქნებაო. ყინვები 15 (3) ნოემბერს დაიწყება და 15 (3) იანვრამდი იქნებაო.

***

კომმუნის დროს წაქცეული და დამტვრეული ვანდომის კოშკი ისევ აუგიათ პარიჟში და ეხლა მხოლოთ იმაზეა მოლაპარაკება — თუ ვისი ძეგლი დასვან ზევით: ისევ პირველი ნაპოლეონისა, როგორც ადრე იყო, თუ სხვა ვისმესი.

***

ერთს მოცლილ სტატისტიკოსს გამოუანგარიშებია, რომ რაი რომ აუშენებიათ, მას აქეთ, ვანდომის კოშკიდამ 127 კაცი გადმოვარდნილა და თავი მოუკლავს; იმ კოშკიდამ, რომელიც ივლისის რევოლუციის სახსოვრად არის აგებული, 29 კაცი გადმოვარდნილა, ტრიომფის კარების სახურავიდამ — 31 და პარიჟის ღთვის-მშობლის საყდრის სამრეკლოდამ 767 კაცი და ქალი გადმოვარდნილა და თავი მოუკლავს.

***

ამას წინათ ერთს გამოჩენილ ინგლისის რესპუბლიკელს, პარლამენტის წევრს, დილკს, ცოლი მოუკვდა ლონდონში. მიცვალებულის ანდერძი რომ წაიკითხეს, ნახეს, შიგ ეწერა, რომ გთხოვთ, ნუ დამმარხავთ, უთუოთ დამწვითო. ქმარმა აასრულა უკანასკნელი თხოვნა მიცვალებულისა და ამ მიცვალებული ქალის გვამი დრეზდენში დაუწვავთ. ქმარს ექვსი გირვანქა ფერფლი მოუგროვებია და წამოუღია.

***

ციმბირში ერთ რუსის დედა-კაცს მახინჯი შვილი დაბადებია, ასე რომ კაცი ვერ შეატყობდა თურმე: ქალი იყო ის, თუ ვაჟი. როდესაც მღვდელს მიუყვანეს მოსანათლავად, არ იცოდა თურმე — ქალის სახელი დაერქმია, თუ ვაჟისა და ამიტომ ასე სთქვა: „თუ ხარ მამრობითი სქესისა, დაგერქვას სახელად ათანასე და თუ ხარ დედრობითი სქესისა, დაგერქვას სახელად ამვროსია.“

***

ამას წინათ ერთი ქუჩის ფილოსოფოსი და მიზანტროპი ანატომიური მუზეუმის უშველებელ აფიშას ჰკითხულობდა მთავარ მართებლის სასახლის გვერდით; რომ წაიკითხა, ერთი ამოიხვნეშა და სთქვა:

— წმინდა სანთლისაგან გაკეთებულის კაცის ნახვა იქნება ღირდეს ათ შაურად, მაგრამ ეს კი ვიცი, ნამდვილი კაცის დანახვა გროშათაც არა ღირს!..

---

# განცხადებანი

ადვოკატი ვასილი ალექსეიჩი ლუკაშევსკი იღებს სამოქალაქო საქმეებს და მათ შორის მეჭეევანიისასა საწარმოებელად როგორათაც თფილისის ოკრუჟნის სუდში, აგრეთვე თფილისის გუბერნიის მიროვოის სუდებსა. შინა ვისაც აქვს სურვილი საქმის მინდობილებისა, შეუძლიანთ ნახონ იგი, ლუკაშევსკი, სახლსა თავადის მუხრანსკისა № 9, ზევით ეტაჟაში, გოლოვინსკის პროსპექტზედ, ხუთი საათიდან ვიდრე რვა საათამდისინ, საღამოს დროს.

ბანდაჟისტი მათიას ფუორრი გერმანიიდგან, განოვის ქუჩაში, პოლიციის ახლოს გადმოვიდა ახალ მაღაზიაში. აკეთებს ყოველ გვარ ბანდაჟს, ახალ კარსეთებს ჰკერავს და ძველს აახლებს; აქვე ფერჩატკების რეცხვა შეიძლება; ყოველსავე ამას სხვა ადგილებზე ნაკლებ ფასათ მიიღებს. აქვე ისყიდება პირველი სორტის წყილის წამალი, გირვანქა ორ აბაზათ.

---

## ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა.

### შვიდი თვის ანგარიში

21 მარტიდამ 21-ს ოქტომბრამდე 1874. წ. ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას სამოცი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . . . . . 1507 მ. 80 კ.
2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.
3.) ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. . 2110 მ.
4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან . . . . . . . 40 მ.
5.) სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან . . . 295 მ. 50 კ.
6.) დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი . . . . . . . 605 მ.

სულ შემოსულა 6,508 მ. 30 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . . 4,925 მ.
2.) შეტანილია თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ.
3.) სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . 42 მ. 46 კ
4.) დახარჯულა გამგეობაზედ. . 300 მ. 50 კ
5) სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა . . . 2 მ.

სულ გასულა 5,419 მ. 96 კ.

გ.) კასსა.

1.) შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში . . . . . . . . 100 მ.
2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად. . . . . . 5 მ. 30 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში .. 533 მ. 4 კ.

სულ 638 მ. 34 კ.
გასავალი არის 5,419 მ. 96 კ.

ერთიანი ჯამი 6,058 მ. 30 კ.

გამგენნი: { მ. ქადაგოვი. გ. ოსეფოვი.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ორშაბათს, ღამით.
ოდესას — სამშაბათს, გათენებისას.
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან — ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან — ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 ოქტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | 15 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 177 | 90 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 83 | 80 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 230 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 693 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 263 | — |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 31 ოქტომ. | | |
| პური ბანჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . | 4 | 50 |
| — ამერიკისა . . | 6 | 40 |
| ბაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | 50 |
| — თარაქამისა . . | 4 | |
| აბრეშუმი . . . | 7 | — |
| ქონი . . . . | 4 | 50 |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| — ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 55 |
| — ფხვნილი . . | 7 | |
| ყავა გრგვალი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 6 | — |
| ოქრო . . . | 5 | 91 |

## „დროების“ ფოშტა

— ზუგდიდელ ხმას. თქვენი სტატია იმიტომ არ იბეჭდება, რომ ამ საგანზე ერთი სტატია უკვე დაბეჭდილია.

— „სიზმრის“ავტორს. ერთობ გარეკვრით, გაუგებრად არის დაწერილი და მკითხველი ძნელად გაიგებს.

— ხ—ს, უფ. ქ—ს. რედაქცია სრულებით ვერ შევა მამა თქვენსა და თქვენს შუა უთანხმოების განხილვაში. ეს, ჩვენის აზრით, არც მკითხველებისათვის არის საინტერესო.

— ზაქ—ას, უფ. ი. ფ—ძეს. გვთხოვთ, შეგატყობინოთ, როდის უნდა ხელ-მოსაწერი ფულის გამოგზავნა. რა შეტყობინება გეჭირებათ? საზოგადოთ ხელის-მომწერლები, როცა გაზეთს იბარებენ, ფულებსაც მაშინ აგზავნიან.

— გ—ს. „დროების კალენდარი“ ჯერ არ გამოსულა; როცა გამოვა, ფასსაც მაშინ შეიტყობთ; გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Ноября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.